




სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2017 წლის 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით გამოკითხულ იქნა საბაკალავრო სკოლის IV კურსის იუნკერთა შემადგენლობა, გამოკითხვის მიზანი იყო დაგვედგინა თუ რა გახდა მათ მიერ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის მიზეზი. გამოკითხვა სულ 82 რესპოდენტი, მათგან 1-მა რესპოდენტმა არ შემოხაზა მიწოდებული კითხვარი.

(აღნიშნული კატეგორიისთვის მეხუთე სემესტრიდან აკადემიაში შესაძლებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთის არჩევა).

1. რომელ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობთ? (შემოხაზეთ ის პროგრამა, რომელზეც სწავლობთ)


გამოკითხვა სულ 82 რესპოდენტი. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ შემოხაზა 1-მა რესპოდენტმა, მათი ფარდობითობა ერთმანეთთან პროცენტულად აისახა შემდეგნაირად: 25% თავდაცვა და უსაფრთხოება, 38% ინფორმატიკა, 38% მენეჯმენტი.



მიზეზი, რის გამოც ავირჩიე საგანმანათლებლო პროგრამა არის

საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის მიზეზად გამოკითხული 82 რესპოდენტიდან იმდენად, რამდენადაც არ იყვნენ შეზღუდულები რამდენიმე მოსაზრება დაეფიქსირებინა თითოეულ რესპოდენტს 26%-მა სფეროს

სიყვარული აღნიშნა, 13% იმისთვის ირჩევს, რომ „მისი მომავალი დასაქმების გარანტია“, 13%-მა „ხარისხიანი აკადემიური განათლების მიღება“, 8% პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებს ასახელებს მიზეზად, 12%-სთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, 6% საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს ასახელებს, 7% ძირითადი სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებზე აკეთებს აქცენტს;



რაც შეეხება იუნკერთა მიერ დაფიქსირებულ კომენტარებს მთლიან კურსზე გამოკითხული 82 რესპოდენტიდან კომენტარი მხოლოდ 9 რესპოდენტმა დააფიქსირა. გამოყოფენ, რომ მართვა ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ შემდგომ სამხედრო კარიერაში, შესაბამისად თვლიან, რომ „სწორი მართვის სწავლა აუცილებელია“; აღნიშნავენ, რომ ფართო არჩევანის საშუალება არ ჰქონიათ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო სხვა მიმართულებაზე (ფაკულტეტზე) შეაჩერებდნენ არჩევანს. ერთ-ერთისთვის განმსაზღვრელი იყო საგნის ტექნიკურობა, სფეროს ინტერესი აქ არსებულ ორ სფეროსთან შედარებით;

- „...სხვა არსებული ფაკულტეტების არჩევანში მსურდა და მაინტერესებდა მესწავლა ეს სფერო მაგრამ შესაძლებელი რომ ყოფილიყო ავირჩევდი სხვა ფაკულტეტს, მაგალითად ფსიქოლოგიას;
- ძალიან მაღალი დონის ლექტორთა ჯგუფი და თანამედროვე მეცნიერული ანალიზების სწავლება“

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური